

მოქმედების სფერო

სტანდარტის მოქმედების სფერო

1.1 წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი (შემდგომ - სტანდარტი) ვრცელდება მეოთხე კატეგორიის საწარმოთა (შემდგომ - საწარმო) ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე (შემდგომ - ფინანსური ანგარიშგება), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საწარმო იყენებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (შემდგომ - ფასს სტანდარტები), ან მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტს (შემდგომ - მსს ფასს სტანდარტი), „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) შესაბამისად.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განისაზღვრება საწარმოები, რომელთაც მოეთხოვებათ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის გამოყენება, თუ ისინი არ არჩევენ გამოიყენონ:

- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს სტანდარტები); ან
- მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (მსს ფასს სტანდარტი).

წინამდებარე სტანდარტი ვრცელდება მხოლოდ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება არის ინდივიდუალური საწარმოს ფინანსური ანგარიშგება, მათ შორის მშობელი საწარმოს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება.

მშობელ საწარმოს შეიძლება მოეთხოვებოდეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება, რაც საწარმოთა ჯგუფის (ანუ მშობელი საწარმო და მისი შვილობილი საწარმოები) ფინანსურ ანგარიშგებას წარმოადგენს. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილია, როდის უნდა მოამზადოს მშობელმა საწარმომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ისევე, როგორც სტანდარტები, რომელთა შესაბამისად უნდა მომზადდეს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.

მშობელ საწარმოს შეიძლება მოეთხოვებოდეს ასევე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადება. ისეთ შემთხვევაში, თუ მშობელი საწარმო აკმაყოფილებს მეოთხე კატეგორიის საწარმოს განმარტებას, მან

თავისი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად უნდა გამოიყენოს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საწარმო იყენებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს, ან მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტს.

- 1.2 მეოთხე კატეგორიის საწარმო განიმარტება კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ძალაში შესვლის თარიღი

- 1.3 საწარმომ წინამდებარე სტანდარტი უნდა გამოიყენოს 2018 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ნებადართულია წინამდებარე სტანდარტის ვადამდელი გამოყენება.

დაშვებები და ძირითადი პრინციპები

მოქმედების სფერო

- 2.1 ამ განყოფილებაში აღწერილია ის დაშვებები და ძირითადი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს საწარმოების ოპერაციების აღიარებასა და შეფასებას წინამდებარე სტანდარტის ფარგლებში.

მეთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების მიზანი

- 2.2 საწარმოების ფინანსური ანგარიშგების მიზანია, წარსული ოპერაციების გათვალისწინებით, საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ ისეთი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც სასარგებლო იქნება ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად და კორპორაციული მართვის გაუმჯობესებისათვის.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია სასარგებლოა, როდესაც იგი შესაფერისია ეკონომიკური გადაწყვეტილების მისაღებად, მაგალითად კრედიტორის მიერ საწარმოსთვის სესხის გაცემის, ან ინვესტორის მიერ ინვესტიციის განხორციელების გადაწყვეტილება. ამ მიზნის შესასრულებლად, წინამდებარე სტანდარტის მიხედვით, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს ინფორმაციას საწარმოს აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის, შემოსავლისა და ხარჯების შესახებ, ასევე განმარტებით შენიშვნებს არ აღიარებული ვალდებულებების, პირობითი მუხლებისა და გარკვეულ დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების თაობაზე.

უტყუარი და სამართლიანი თვალსაზრისის დაშვება

- 2.3 წინამდებარე სტანდარტის ფარგლებში მოქმედებს დაშვება, რომ ამ სტანდარტის შესაბამისად შედგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარ და სამართლიან ინფორმაციას იძლევა, საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ.